ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №19

ქალაქი ქუთაისი

11 ოქტომბერი, 2019 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
4. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
5. მაია ყუფარაძე - ჟურნალისტი;
6. ემზარ ღვინიანიძე - იმერეთის რეგიონული სავაჭრო –სამრეწველო პალატა;
7. ვლადიმერ კვიტატიანი - ააიპ ინოვაციური განვითარების ფონდი ,,დრანდა";
8. გია ცალანი - დევნილთა სათემო კავშირის უფროსი;
9. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;
10. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
11. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
12. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
13. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 13, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 9 წევრი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არის გადაწყვეტილებაუნარიანი, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

გიგა ხარებავა - GEPRA წარმომადგენელი.

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

დღის წესრიგი

მე-19 სხდომა

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - ინიციატივების შეფასების წესის მიღება.
4. სამოქალაქო ინიციატივების განხილვა.
8. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

1. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - ინიციატივების შეფასების წესის მიღება.

თავდაპირველად საბჭომ მოისმინა მცირე ჯგუფის ანგარიში, რომელმაც შემოსული ინიციატივების პირველადი, წინასწარი ტექნიკური შეფასება ორი მიმართულებით მოახდინა: 1. პასუხობს თუ არა ინიციატივა ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას და 2. აქვს თუ არა ადგილობრივ თვითმმართველობას ანალოგიური ღონისძიებები უკვე გათვალისწინებული 2020 წლის ბიუჯეტში.

ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი) - 10 ოქტომბერს, 15:00 საათზე მცირე ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ ვიცე-მერი ნინო თვალთვაძე, სავჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე, GEPRA- ს წარმომადგენელი გიგა ხარებავა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თეონა გიორგაძე. შეხვედრაზე მოხდა შემოსული ინიციატივების პირველადი შესწავლა, რომლის დროს დადგინდა, რომ: volis.kutaisi.gov.ge -ზე დარეგისტრირებულია 90 ინიციატივა, გამეორებების გამოკლებით სულ ორიგინალი ინიციატივის რაოდენობა შეადგენდა 87; მერიის კომპეტენციას ვერ პასუხობდა 8 ინიციატივა, ხოლო მერიას 2020 წლისთვის გათვალისწინებული უკვე აქვს 14 ინიციატივის მსგავსი ღონისძიებები. მრჩეველთა საბჭოს შეფასებისთვის საბოლოოდ გადაეგზავნა 66 ინიციატივა, სადაც 1 ინიციატივა დაემატა განხილვას (რომელიც მერის სახელზე მოქალაქემ შეიტანა) და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეფასებისთვის გადაეცა 66 ინიციატივა. მერიამ გამოთქვა სულვილი, რომ ყველა ინიციატორს გაუგზავნის წერილობით პასუხს მათ ინიციატივებთან დაკავშირებით.
დოკუმენტი იხილეთ დანართად 1.

დადგინდა:

საბჭომ ცნობად მიიღო მცირე ჯგუფის მიერ გაწეული ტექნიკური სამუშაო და დაადგინა, რომ 66 ინიციატივის შეფასება მოხდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ.

საბჭომ მოუსმინა GEPRA-ს წარმომადგენელს გიგა ხარებავას, რომელმაც გააცნოს წევრებს შეფასების დოკუმენტი. (დოკუმენტი იხილეთ დანართად). აქვე საბჭომ იმსჯელა მიმდინარე კონკურსის შეფასების კრიტერიუმებზე.
დანართი 2.

ჩატარდა კენჭისყრა:

სულ სხდომას ესწრებოდა: 13 წევრი
მომხრე: 13 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი
წინააღმდეგი: 0 წევრი.

დადგინდა:

სახელმძღვანელო ინსტრუქცია გამოვიდეს მომდევნო საბჭოს სხდომაზე განსახილველად და დამუშავდეს. მისი გათვალისწინება დაიწყოს 2020 წლის სამოქალაქო ინიციატივების კონკურსის დროს.

2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - ინიციატივების შეფასების წესის მიღება.

საბჭომ იმსჯელა შეფასების კრიტერიუმზე და შეჯერდა სამ შეფასების კომპონენტზე: მდგრადობა, აქტუალობა და კრეატიულობა, რომელსაც წევრები 1-10 სკალის მიხედვით შეაფასებენ. სადაც 1 ყველაზე დაბალი, ხოლო 10 ყველაზე მაღალი ქულაა.

ჩატარდა კენჭისყრა:

სულ სხდომას ესწრებოდა: 13 წევრი
მომხრე: 11 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი
წინააღმდეგი: 2 წევრი.

დადგინდა:

2019 წლის სამოქალაქო ინიციატივები ელექტრონულად (გუგლ დრაივის გამოყენებით) შეფასდება სამი კრიტერიუმით: მდგრადობა, აქტუალობა, კრეატიულობა (1-10 სკალა). ყველაზე მაღალი ქულის მქონე 10 პროექტი დამტკიცდეს მომავალ საბჭოს სხდომაზე, რომელიც 18 ოქტომბერს 11:00 საათზე გაიმართება.

ნინო ხუხუა (საბჭოს წევრი): გამოთქვა მოსაზრება, რომ მოხდეს ინიციატორთა მოსმენა მომდევნო სხდომაზე და შემდეგ მათი ინიციატივების შეფასება.

ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე): დაეთანხმა ნინო ხუხუას, რადგან მიაჩნია, რომ ინიციატორების მოწვევა გაზრდის მათ ჩართულობას. დააყენა საკითხი კენჭისყრაზე.

ჩატარდა კენჭისყრა:

სულ სხდომას ესწრებოდა: 13 წევრი
მომხრე: 2 წევრი
თავი შეიკავა: 0 წევრი
წინააღმდეგი: 11 წევრი.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ნუგზარ კოხრეიძე, თემურ ამყოლაძე, მაია ყუფარაძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, გია ცალანი, თეონა გოგიშვილი, ლევან როხვაძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხხუხუა, გიორგი ჭიჭინაძე.

დაადგინეს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მე-20 სხდომა გაიმართოს 18 ოქტომბერს 11:00 საათზე მერიის სათათბირო დარბაზში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე _____ ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი _____ ნუგზარ კოხრეიძე